



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N4**

ქ. ლანჩხუთი

09. 02. 2018 წელი

საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიმიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბუგაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი ფაცურია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ელიკო იმნაძე, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერის წინადადების საფუძველზე, რათა დროულად იქნას გადაწყვეტილი მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ე. იმნაძე/

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგს:

კენჭისყრას ესწრებოდა 22 დეპუტატი.

მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის წერილის საფუძველზე სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის, შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურისა და ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში სამუშაო ოთახების სარემონტო სამუშაოებზე მიიმართოს 20000 ლარი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო ბაზის სარემონტო სამუშაოებზე 20000 ლარი.

იმის გამო, რომ ბიუჯეტში შემოსავლის ზრდის საშუალება არ არის, მიზანშეწონილად ჩაითვალა დამტკიცებულ ასიგნების ფარგლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა- რეაბილიტაცია და მოვლა- შენახვის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის 40000 ლარის შემცირების ხარჯზე განხორციელდეს სარემონტო სამუშაოების დაფინანსება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული თავისუფალი ნაშთის ხარჯზე გაიზარდოს მერიის არაფინანსური აქტივების მუხლი 3000 ლარით.

საკრებულოს წევრმა, **ამირან გიგინეიშვილმა** აღნიშნა, რომ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის ჩატარების შესახებ ეცნობა სხდომის ჩატარების დღეს. რეგლამენტის მიხედვით, სხდომების ჩატარების თარიღის შესახებ ყველა დაინტერესებულ მხარეს უნდა ეცნობოს არა უმცირეს 7 დღით ადრე, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ გაეცნონ შესაბამის დოკუმენტაციას. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სხდომის ჩატარება გამოწვეული იყო გადაუდებელი სასწრაფო სიტუაციიდან გამომდინარე, დეპუტატის თქმით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ასეთ „გადაუდებელ“ და „სასწრაფო“ სიტუაციებს არ ცნობს. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური პარტია „ევროპული საქართველო“ კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს.

საკრებულოს წევრმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ საფეხბურთო კლუბ „გურია“-ს ბაზა 2015 წელს გარემონტდა და სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დაიხარჯა საკმაოდ დიდი თანხა, რომელიც ფაქტიურად გადაყრილია, რადგან დღეს ბაზა იმყოფება საშინელ მდგომარეობაში. დეპუტატი პირადად იმყოფებოდა ბაზაზე და მისი თქმით, პრაქტიკულად ყველაფერი თავიდან არის გასაკეთებელი. ამიტომ გამოყოფილი 20000 ლარი ნამდვილად არ ეყოფა რემონტის ჩატარებას. ამასთან, არ არის გამორიცხული, რომ უცებ განხორციელებული სარემონტო სამუშაოები გარკვეული საფრთხის შემცველი იყოს. საკრებულოს წევრის თქმით, მორალურად არ იქნება მართალი, რომ ბაზის სარემონტო სამუშაოებისთვის 20000 ლარის გამოყოფას მხარი დაუჭიროს. როცა სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ 2 წლის განმავლობაში ფუჭდება ყველაფერი, თავიდან კი არ უნდა ხდებოდეს თანხის გამოყოფა, არამედ უნდა ჩნდებოდეს შესაბამისი კითხვები.

გარდა ამისა, საკრებულოს წევრის თქმით, როცა საქართველოს, ასევე მსოფლიო საფეხბურთო სამყაროში საკმაოდ ცნობილი პიროვნება, მერაბ ჟორდანიას აპირებდა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ში შემოსვლას და მასზე პასუხისმგებლობის აღებას, მაშინ პარლამენტში ლანჩხუთი-ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატი, ნინო წილოსანი აცხადებდა, რომ მერაბ ჟორდანიას უნდა აეღო გუნდში დაახლოებით მილიონი ლარის ინვესტიციის ვალდებულება და ასევე უნდა ელიარებინა კლუბის ძველი ვალები. ამჟამად კი კლუბის ხელმძღვანელად დაინიშნა საკრებულოს წევრისთვის და ზოგადად, საფეხბურთო სამყაროსთვის უცნობი დავით ყენია. მან კითხვით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, თუ როგორია ახალი აღმასრულებელი დირექტორის პასუხისმგებლობა გუნდთან მიმართებაში. ასევე, აიღო თუ არა დავით ყენიამ მილიონი ლარის ინვესტიციასთან დაკავშირებით რაიმე ვალდებულება და აღიარებს თუ არა ის კლუბის ძველ ვალებს. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, ხომ არ იღებს მუნიციპალიტეტის მერი თავის მხრივ პასუხისმგებლობას საკითხთან დაკავშირებით, რადგან მაშინ ის იმყოფებოდა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე და შეეძლო გარკვეული გადაწყვეტილებების მიღება.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, მაშინდელი ხელშეკრულება განხილულ იქნა საკრებულოს წევრებთან ერთად, მაგრამ მასში მხოლოდ ერთი მხარის ინტერესები იყო გათვალისწინებული.

საკრებულოს წევრმა, **კახაბერ ასკურავა** დაინტერესდა, როგორი სახის ხელშეკრულება გაფორმდა ამჟამად და არის თუ არა იგი ორმხრივი.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, დღევანდელ სხდომაზე ეს თემა არ განიხილება. მიუხედავად ამისა აღნიშნა, რომ არანაირი ხელშეკრულება არ არსებობს. დავით ყენია არის კლუბის აღმასრულებელი დირექტორი და იმ კუთხით, რაზეც საკრებულოს წევრი საუბრობს, ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელს არ ეკისრება რაიმე სახის ვალდებულება. მუნიციპალიტეტის მერის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ბაზის აუქციონზე გატანა იჯარის წესით გასხვისებასთან დაკავშირებით, იურისტებთან ერთად მოხდება მსჯელობა, რადგან დაცული უნდა იყოს მუნიციპალიტეტის და არა ინვესტორის ინტერესები. საჭიროების შემთხვევაში სწორედ მუნიციპალიტეტის ინტერესების გათვალისწინებით მოხდება სათანადო დოკუმენტაციის მომზადება.

საკრებულოს წევრმა, **კახაბერ ასკურავამ** მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ საფეხბურთო კლუბთან დაკავშირებული საკითხების განხილვა უნდა ხდებოდეს ერთ პაკეტად და არა ასე გადანაწილებული სახით. მისი თქმით, სწორედ ასეთი მიდგომის შედეგია ის, რომ წყალშია გადაყრილი 7 მილიონი ლარი, ხოლო გუნდი გამოუვალ მდგომარეობაშია. დავით ყენია არის ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელი და როგორც წესი, მან უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ა(ა)იპ-ის მუშაობაზე. დეპუტატის თქმით, როცა სამუშაოდ ხდება არალანჩხუთელი ადამიანის მოყვანა, მას უნდა ქონდეს გარკვეული პრიორიტეტები, მაგრამ თუ კი საფეხბურთო კლუბს არ აქვს წინსვლის შანსი, მაშინ ადგილობრივი კადრი დასაქმებულიყო, ხელფასს მაინც აიღებდა.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ბაზა მართლაც ძალიან ცუდ მდგომარეობაშია და ფეხბურთელებს ელემენტარული პირობები არ აქვთ. ის, თუ როგორ და რა გაკეთდა, აუცილებლად უნდა იქნას მოძიებული. ასევე დასადგენია, ფეხბურთელების თუ სხვა ვინმეს მიერ მიაღება ბაზის ინფრასტრუქტურას ზიანი. ამასთან, აუცილებლად გამოიკითხება ის ადამიანები, რომლებმაც განახორციელეს სარეაბილიტაციო სამუშაოები და თუ მათი ბრალეულობის შედეგია არსებული ნაკლოვანებები, აუცილებლად იქნება მათ მიერ აღმოფხვრილი. რაც შეეხება დავით ყენიას პიროვნებას, ჯერ არ მოსულა გუნდში და საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიერ მის მიმართ ხორციელდება ნეგატიური დამოკიდებულების გამოხატვა, მაგრამ მუნიციპალიტეტის მერმა იმედი გამოთქვა, რომ ეს ადამიანი ერთობლივი მუშაობით და გუნდურ პრინციპზე დაყრდნობით ყველაფერს გააკეთებს, რათა საფეხბურთო კლუბი გამოვიდეს ამ სიტუაციიდან. ამასთან, საფეხბურთო კლუბთან მიმართებაში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა კომპეტენციის ფარგლებში ყოველთვის საქმის კურსში იქნება და საჭიროებიდან გამომდინარე გააკეთებს ყველაფერს.

საკრებულოს წევრმა, **ციცინო ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ბიუჯეტი არის ფინანსური კანონი. როცა მიღებულ იქნა ადგილობრივი ბიუჯეტი, მასში საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-სთან დაკავშირებით არანაირი თანხის გამოყოფა არ იყო გათვალისწინებული. დეპუტატი დაინტერესდა, რატომ არ იქნა გუნდის ბაზისთვის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების განსახორციელებლად მუნიციპალური ბიუჯეტიდან გარკვეული ფინანსების გამოყოფა გათვალისწინებული, რადგან მაშინაც ხომ იყო ცნობილი, რომ ბაზას ესაჭიროებოდა სარემონტო სამუშაოები. ყოველივე აქედან გამომდინარე, საკრებულოს წევრი თავს უფლებას ვერ მისცემს, მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ თანხის გამოყოფა განხორციელდა მაშინ, როდესაც დადგა ამის საჭიროება. ამ ეტაპზე თუკი საფეხბურთო კლუბის ბაზას არ ჩაუტარდება სარემონტო სამუშაოები და არ მოხდება აღნიშნული 20000 ლარის გამოყოფა, მაშინ გაცილებით ძვირი დაჯდება ფეხბურთელების კერძო სასტუმროში დაბინავება-შენახვა. დეპუტატის თქმით, ბიუჯეტი არის ცოცხალი ორგანიზმი, ამიტომ როცა საქმე მოითხოვს, ბიუჯეტში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები და ეს ჩვეულებრივი პროცესია.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** განცხადებით, ისიც ხომ ყველასთვის ცნობილი იყო, რომ მუნიციპალიტეტის და ჩიბათის ადმინისტრაციულ შენობებში სამუშაო ოთახებს ესაჭიროება სარემონტო სამუშაოების ჩატარება. მისთვის გაუგებარია საკრებულოს წევრის, ციციანო ჩხაიძის მიდგომა გუნდის ბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 20000 ლარის გამოყოფასთან დაკავშირებით. მუნიციპალური ბიუჯეტის დამტკიცებისას საუბარი იყო, რომ საფეხბურთო კლუბისთვის არ მოხდებოდა რაიმე თანხის გამოყოფა. მუნიციპალიტეტის მერის თქმით, თითოეული მათგანის მიზანია, რომ გუნდი გამოვიდეს ამ მდგომარეობიდან. გამოდის, რომ მუნიციპალური ბიუჯეტიდან გაწეული უნდა იქნას დამატებითი ხარჯები, რათა ფეხბურთელებისთვის იქირაონ სასტუმრო. ის ნამდვილად ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ სათანადო პასუხი უნდა მოეთხოვოს ყველას, თუკი მათ მიერ უხარისხოდ იქნა რაიმე გაკეთებული და პირადად იქნება ამის პასუხისმგებელი.

საკრებულოს წევრის, **კახაბერ ასკურავას** აზრით, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ უნდა გამოიზაროს სარემონტო სამუშაოების შემსრულებლები და მოითხოვოს უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით პასუხი.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, სწორედ რომ დაზარებულები ყავდათ ეს ადამიანები და რაც მათი გამოსასწორებელია, ვალდებულები არიან აღმოფხვრან ის ნაკლოვანებები.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ გუნდის შენახვა კერძო სასტუმროში გაცილებით მეტ

თანხებთანაა დაკავშირებული. მისი აზრით, დანაშაული ისაა, რომ როცა არის საშუალება დაიზოგოს ბიუჯეტის თანხები, მაგრამ ეს არ გაკეთდება და გაწეული იქნება 20-ჯერ მეტი ხარჯები. დაბარებულია ის პიროვნებები, ვინც შეასრულა ბაზაზე სარემონტო სამუშაოები, თუ საჭიროა, აუდიტიც იქნება მოწვეული და გაირკვევა სიტუაცია.

საკრებულოს თავმჯდომარის, **ბესიკ ტაბიძის** თქმით, კრიტიკა ძალიან ადვილია. დასმულ საკითხთან დაკავშირებით ერთად უნდა ნახვა, მსჯელობა, რათა რაიმე გაუკეთებელი არ დარჩეს და რომელიმე საკითხი არ დარჩეს მხედველობის მიღმა.

საკრებულოს წევრის, **იოსებ ჩხაიძის** აზრით, ფეხბურთთან დაკავშირებული საკითხები ძალიან სენსიტიური თემაა, რომლითაც თითქმის მთელი მუნიციპალიტეტია დაინტერესებული და ჩართული. აუცილებლად დაჭირდება ამ საკითხს კომპლექსური შესწავლა, თუ რა მოხდა სინამდვილეში, რათა ისევ არ მოხდეს შეცდომის დაშვება და თუკი სადმე დანაშაულს ქონდა ადგილი, აუცილებლად უნდა მიხედოს შესაბამისმა უწყებებმა. დეპუტატის თქმით, საკრებულოს ფრაქციას „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ გააჩნია გარკვეული შეკითხვები. აქედან გამომდინარე, მათ შესაბამისი წერილით უკვე ორ კვირაზე მეტია მიმართეს მუნიციპალიტეტის მერს, რის შემდეგაც საკმაო ვადა გავიდა და პასუხი ჯერ არ მიუღიათ. ფრაქციის წევრებს ესაჭიროებათ სტადიონის პროექტი და სტადიონთან დაკავშირებით გაფორმებული ყველა ხელშეკრულება. ამ საკითხზე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზეც ქონდათ საუბარი. რადგან წერილთან დაკავშირებით ყველანაირი ვადა გასულია, ამიტომ საკრებულოს წევრმა თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ დაჩქარდეს მერიიდან საჭირო დოკუმენტაციის დროული გადმოცემა, რადგან ფრაქციის წევრების მიერ შესასწავლია აღნიშნული თემები და საფუძვლიანი შეკითხვებია დასასმელი.

საკრებულოს წევრი, **ელისო ჭიჭინაძე** დაეთანხმა დეპუტატ იოსებ ჩხაიძეს, რომ აუცილებლად უნდა იქნას გამოძიებული და გარკვეული ყველაფერი, თუნდაც ბოლო 10 წლის განმავლობაში დღემდე სტადიონთან დაკავშირებით იქნება ეს თუ სხვა თემებთან მიმართებაში, მაგრამ ეს არის სამართალდამცავი სისტემის პრეროგატივა და აუცილებლად უნდა დაისაჯოს ყველა ის პიროვნება, ვისაც საფეხბურთო კლუბის განადგურებაში მიუძღვის წილი, ამიტომ წინასწარ არ უნდა მოხდეს უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დღეს მუნიციპალიტეტის საზოგადოება ორადაა გაყოფილი, მაგრამ ყველას სურვილი და მიზანია ლანჩხუთის „გურია“-მ გააგრძელოს არსებობა, რისთვისაც საჭიროა მუნიციპალიტეტი დაეხმაროს გუნდს, რითაც შეუძლია. საფეხბურთო სკოლის აღზრდილები ფაქტიურად ქუჩაში არიან დარჩენილები, რადგან კლუბის ასეთი მდგომარეობის გამო აღარ არსებობს შესაბამისი ასაკობრივი გუნდი.

საკრებულოს წევრმა თხოვნით მიმართა კოლეგებს, რომ საკითხს არ მიუდგნენ ცალსახად და რაღაც უნდა გაკეთდეს მომავალი თაობის საკეთილდღეოდ.

საკრებულოს თავმჯდომარის, **ბესიკ ტაბიძის** თქმით, მას ეგონა, დღეს საუბარი იქნებოდა იმასთან დაკავშირებით, რომ ლანჩხუთში ფეხბურთი მოკვდა, რადგან 17-18-19 წლის ბიჭებს ფაქტიურად მომავალი არ აქვთ. თუკი ბაზა არ გაკეთდება, ადგილობრივი

ბიუჯეტი ვერ შეძლებს გაწიოს ფეხბურთელების კერძო სასტუმროში შენახვის ხარჯები და გუნდი საერთოდ წაიშლება. მან თხოვნით მიმართა დეპუტატებს, რომ გაერთიანდნენ, ყველამ დადოს თითო აგური კლუბის საკეთილდღეოდ და გადაარჩინონ კლუბი, რადგან დიდი მომავლის მქონე თაობა დარჩენილია ქუჩაში.

საკრებულოს წევრი, **ამირან გიგინეიშვილი** დაინტერესდა, თუ ვის ბალანსზეა ბაზა, რაზეც მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ბაზა იმყოფება მუნიციპალიტეტის ბალანსზე. დეპუტატის თქმით, თუ ბაზას უვლის მუნიციპალიტეტი, შესაბამისად უნდა იყოს გამოყოფილი დარაჯის, ბაზის ხელმძღვანელის და სხვა შტატები. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, რომ თუ ასეთი შტატები არის, რომელ სამსახურის დაქვემდებარებაშია ისინი. მან ასევე აღნიშნა, რომ თუ დღეს ბაზას კლუბი უვლის, ეს არის არამიზნობრივი ხარჯვა, რაც დასარეგულირებელია, რადგან თუ ბაზა იმყოფება მუნიციპალიტეტის ბალანსზე, უნდა მოუაროს მუნიციპალიტეტმა და ამ მიზნით გამოყოს შესაბამისი თანამშრომლები, ხოლო თუ კლუბის ბალანსზეა, მაშინ ეს თანხა უნდა ჩაერიცხოს კლუბს.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ აღნიშნული ქონება ეკუთვნის მუნიციპალიტეტს. როგორც ცნობილია, ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი აფინანსებს კლუბებს, მაგრამ ლანჩუთის „გურია“ უმაღლეს ლიგაშიც რომ იმყოფებოდეს, თუ სპონსორი არ იქნება, კონკრეტულად ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით ფეხბურთის ფედერაციამ მიზნობრივი თანხა თუ არ გამოყო, პირდაპირი ხარჯები ანუ ბაზის და სტადიონის მოვლითი ღონისძიებები შედის მუნიციპალიტეტის ფუნქციებში, რადგან ისინი მუნიციპალიტეტის საკუთრებაა.

საკრებულოს წევრი, **ამირან გიგინეიშვილი** დაინტერესდა, როგორ ხორციელდება ბაზის მოვლა-პატრონობა, ყავს თუ არა დარაჯი, დირექტორი, მენეჯერი და სხვა, რაზეც მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ ბაზაზე დღეისთვის იმყოფება მხოლოდ დარაჯი, მაგრამ ამ ეტაპისთვის შესაცვლელია სტრუქტურა.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 23 დეპუტატი.

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი 1 დეპუტატი(ვახაბერ ასკურავა), კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა 4 დეპუტატმა(ციცინო ჩხაიძე, იოსებ ჩხაიძე, ირაკლი მარშანიშვილი, ამირან გიგინეიშვილი,).

მიღებულ იქნა დადგენილება N7 (09.02.2018)

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული

წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიაძე**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო სულ 1264761 ლარი. მათ შორის: სახელმწიფო ფონდი შეადგენს 1201522 ლარს, თანადაფინანსება 63239 ლარს. ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილების შეტანის მიზნით მიზანშეწონილია გაგრძელდეს ადმინისტრაციული წარმოება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 23 დეპუტატი.

**მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N20 (09.02.2018)**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა, **ელიკო იმნაძემ**. მან აღნიშნა, რომ ეს ცვლილება გამოიწვია ფინანსთა სამინისტროს რეკომენდაციამ, რომლის საფუძველზე სარგო არ უნდა აღემატებოდეს გასული წლის ფაქტობრივი მონაცემის საშუალო მაჩვენებლის დონეს. აქედან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის მიზნით უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 27/12/2017 სარეგისტრაციო კოდი 190040000.35.112.016320) შევიდა ცვლილება. კერძოდ, მერის პირველი მოადგილის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა თვეში 1900 ლარის ოდენობით, ხოლო მერის მოადგილის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა თვეში 1700 ლარის ოდენობით. ამასთან, უახლოეს მომავალში იგეგმება პოლიტიკური თანამდებობის პირების შრომის ანაზღაურების შესახებ კანონის მიღება, რომელიც უფრო დახვეწს და დაარეგულირებს აღნიშნულ საკითხს.

საკრებულოს წევრმა, **კახაბერ ასკურავამ** გაიხსენა მუნიციპალიტეტის მერის ნათქვამი, რომ მას მეორე მოადგილე არ ეყოლებოდა, რის ხარჯზეც გარკვეული თანხა გამოთავისუფლდებოდა. დეპუტატის თქმით, უკანონო ნამდვილად არ არის, რომ მუნიციპალიტატის მერს ყავდეს ორი მოადგილე, რადგან კანონის შესაბამისად ამის

უფლება აქვს, მაგრამ მიუხედავად მუნიციპალიტეტის მერის სიტყვიერი ნათქვამისა, მეორე მოადგილის თანამდებობაზე სავარაუდოდ დაინიშნება კონკრეტული პიროვნება.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** მიმართა საკრებულოს წევრს, რომ რაღაც ეშლება და ასეთ ფაქტს ადგილი ნამდვილად არ ქონია. მაშინ საუბარი იყო, რომ მუნიციპალიტეტის მერს სტრუქტურულად ეკუთვნოდა და შეეძლო ყოლოდა სამი მოადგილე, მაგრამ მას ეყოლებოდა მხოლოდ ორი მოადგილე.

საკრებულოს წევრის, **ამირან ქანთარას** თქმით, ყველგან ხორციელდება ხელფასების ზრდა. რეკომენდაცია არ ნიშნავს იმის ვალდებულებას, რომ შემცირდეს ხელფასი. 100 ლარი არ არის ისეთი დიდი თანხა და არსებითად არაფერს არ შეცვლის. დეპუტატმა შემოიტანა წინადადება, რომ დატოვებულ იქნას ძველი თანამდებობრივი საგრო.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 23 დეპუტატი.

**მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი 1 დეპუტატი(ამირან ქანთარია);
მიღებულ იქნა განკარგულება N21 (09.02.2018)**

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

